



რისთვის ვმარხულობთ?



მამა გაბრიელ პრაზანტინი

„როცა საქმე იქამდე მივა, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ფლობს ქვეყნის სიმდიდრის უზარმაზარ ნაწილს, რა შეუშლის მას ხელს, მოახვიოს თავისი ნება მთელ ერს? პირდაპირ თუ ირიბად, მისი სურვილები კანონად იქცევა“, - წერდა მუჰამედ იუნუსი (Muhammad Yunus, ნობელის პრემიის ლაურეატი 2006 წელს, თანამედროვე მიკროკრედიტების ანუ მცირე მენარმეებისათვის მიკროსესხების სისტემის შემქმნელი და რეალიზატორი). სამწუხაროდ, მსოფლიოს რამდენი ქვეყნის (დემოკრატიულად რომ ასაღებენ თავს!) შესახებ შეიძლება ითქვას ეს ფრაზა! ამ თვეების საპროტესტო გამოს-

ვლები, რომლებმაც „გადაახურეს“ მოედნები ჰონგ კონგიდან ჩილემდე, ლიბანიდან სუდანამდე და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, დიდი უსამართლობის მკაფიო სიმპტომია სწორედ იმიტომ, რომ ოლიგარქ-მაგნატთა ახალი მცირე ჯგუფის ხელშია მთელი მსოფლიოს სიმდიდრე, რასაც თავიანთი სიამოვნებისათვის განკარგავენ. ა.ნ. იანერის თვეში გამოქვეყნებული ოქსფამის ანგარიში (Oxfam Rapport 2020) ცხადყოფს, რომ რამდენადაც ღრმა უფსკრულია უმდიდრესსა და უღატაკეს კლასს შორის, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს, ეკონომიკური უთანასწორობა უკვე

კონტროლს აღარ ექვემდებარება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა შორის თანასწორობას. მსოფლიოში არ იქნება წესრიგი, თუკი სიმდიდრე უმცირესთა ხელში გადავა! თუ ჩვენ ამის გაგება გვსურს, პირველ რიგში, ის იდეოლოგიური კურსი უნდა შევცვალოთ, რაც „ახალი კაპიტალიზმის“ მკაცრ რეალობაში „არაჰუმანური სახით“ არის გამოხატული, და რომელიც ემყარება ეკონომიკურ არჩევანს. ამ ჭრილში, პოლიტიკური და, შესაბამისად, ეკონომიკური თვალსაწიერის ცენტრში, უპირველესად, უნდა დადგეს ადამიანი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი „კაპიტალი“ და მისი ეგზის-

ტენციალური მოთხოვნები, რაც, ცხადია, მოიცავს არა მხოლოდ ფულსა და სამომხმარებლო საგნებს, არამედ ადამიანურად ჰუმანურ, ღირსეულ ცხოვრებას, რასაც „საერთო სიკეთის“ სახელით სხვებსაც გაუზიარებდა; სანდო პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია შექმნას „სოციალური კაპიტალი“, სუფთა პოლიტიკა შრომით სფეროში და პატიოსან მენარმეობაში, რაც არ გამოიწვევდა გარემოს განადგურებას; პოლიტიკა განათლებისა და ალზრდის სფეროში, ოჯახებთან თანამშრომლობით. მონაწილეობა, ჩართულობა, თანადგომა, ნდობა, თანაგრძნობა - ეს ყველაფერი ქმედით პროცესებად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები საზოგადოების აქტიურ ნაწილებად მიიჩნევენ თავს; ეს არის დემოკრატიული ცხოვრების „სამოქალაქო სანჯავი“, მისი ენერგია. ხოლო როცა მოქალაქეები იგრძნობენ, რომ ისინი არიან უბრალოდ მომსახურების კლიენტები, მარიონეტები ძლიერთა ხელში, სხვათა ინტერესების საყრდენი... დემოკრატია უთუოდ ჩიხში მოექცევა. სწორედ ამ „გახურებული მოედნიდან“ არაპარტიული, არაკონფესიური, არაპროფკავშირული წრეებიდან წარმოიშვება კითხვები დემოკრატიის შესახებ უფრო პირდაპირი ფორმით, რაც შორს არაა ხალხისაგან, მაგრამ განსხვავებულია „tweet“-ზე წარმოდგენილისაგან; ხალხი აპროტესტებს, ოცნებობს, რისკს ეწევა თავისუფლებისათვის, კეთილგონიერი მთავრობისათვის, კორუფციის, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ; როგორც არასდროს, ისე სჭირდებათ სამართალი, სამართალი ყველა სფეროში, იმ სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილებით, რაც დღეს უმ-

ცირესობის ხელშია.

ამ თემების ირგვლივ თითქმის ცალსახა გამოწვევა და ინიციატივა წამოვიდა პაპი ფრანცისკეს მხრიდან; პროფესორები, ახალგაზრდა ეკონომისტები, მენარმეები მთელი მსოფლიოდან ამ თვის 26-28-ში შეიკრიბებიან ასიზიში (იტალია) და ერთმანეთს გაუზიარებენ იდეებსა და პროექტებს ეკონომიკის ახალი მოდელის შესახებ, რომლის ცენტრშიც იქნება ადამიანის პიროვნების ღირსება. **მსგავსი წინადადებით გამოვიდა ჩვენი საბას უნივერსიტეტი - სრულად მიაწოდონ ინფორმაცია კათოლიკე ეკლესიის სოციალურ სწავლებაზე, რასაც მარტის თვიდან შეუდგებიან, განა ამ საკითხს საქართველოშიც სერიოზულად არ უნდა ეკიდებოდნენ?**

შესაძლოა, პირდაპირი გზით არა, მაგრამ 28 იანვარს, ახალციხეში ადგილობრივი ორგანიზაციის ზოგიერთ წარმომადგენელთან გამართულ შეხვედრაზე მაინც შეეხნენ ამ თემას და მსგავს საკითხებს ჩვენი მღვდელმსახურებიც, როდესაც ისინი საუბრობდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულ სიტუაციაზე, სადაც დღემდე შენარჩუნებულია კათოლიკე მორწმუნეების კომპაქტური რიცხვი. შეხვედრის დასასრულს, ეპისკოპოსმა თავი

აარიდა ჩვეულებრივ შენიშვნებს ტოლერანტობის შესახებ, რამაც უკვე თავისი ელფერი დაკარგა საქართველოში, და საკუთარ სამღვდლოებას მოუწოდა, რომ ბოლომდე იბრძოლონ სამართლიანობისათვის, ყველაფერი გააკეთონ ადამიანთა დასაცავად, როდესაც ისინი უსამართლობის რაიმე ფორმას განიცდიან, დაწყებული თავიანთი სამრევლოებიდან, ჩვენი მორწმუნეებიდან: შეიძლება ეს იყოს მინების უკანონო მისაკუთრება, რელიგიური უფლებების შეზღუდვა, ძლიერთა კანონების წინაშე ქედის მოხრა... კათოლიკე ეკლესიის რიგებში არა მხოლოდ რწმენის გამო წამებული ირიცხებიან, არამედ სამართლიანობისათვის მებრძოლი წმიდანებიც.

ახლახან დაწყებული დიდმარხვა (26 თებერვალი), რომელიც გვიხმობს მარხვის, ღოცვისა და ქველმოქმედებისაკენ, არის მონოდება არა მხოლოდ უფრო მეტად წმინდა სულიერი და ეკლესიური ცხოვრებისაკენ, რასაც აღდგომა კიდევ უფრო წმიდა ელფერს სძენს (12 აპრილი), არამედ სოციალური, სამოქალაქო ცხოვრების ახალი მოდელისაკენ, რომლის საფუძველიც იქნება **უფრო მეტად სამართლიანი, თანასწორი და სოლიდარული საზოგადოება.**





SABAMEDIA



THE MEDIA OF THE CATHOLIC CHURCH IN GEORGIA
კათოლიკე ეკლესიის მედია საქართველოში



ქრონიკა

რუზარია მოაფადა რუსუდან ავალიშვილა

აზიის ეპისკოპოსაზი კორონავირუსით დასნეზოვნეზულთათვის ლოსულოზენ

კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით, აზიის ეპისკოპოსთა ფედერაციამ საგანგებო მიმართვა გაავრცელა: „ამ მძიმე ჟამს გვსურს, ახლოს ვიყოთ მათთან, ვინც დაავადდა ამ სენით, ვლოცულობთ მათი გამოჯანმრთელებისათვის, ვლოცულობთ დაღუპულთათვის. ჩინეთის კათოლიკეები აქტიურად ჩაერთნენ კორონავირუსის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვევედრებით ჩვენს უწმიდეს დედას, დაიცვას სნეულები, დედობრივ მეოხებას ვთხოვთ მას, რათა აგვარიდოს სენის გავრცელება და თავისი წმიდა ხელით მოარჩინოს ისინი, ვინც უკვე დაავადდა“, - ნათქვამია მიმართვაში.

ჩინეთში მოქმედი კათოლიკური სამედიცინო დაწესებულებები მზადყოფნით იღებენ დაავადებულებს, თუმცა სნეულთა რიცხვი იზრდება და დახმარების განევა უფრო და უფრო რთული ხდება. „მედიკამენტები ძალიან მალე ილევა. ჩვენი კლინიკის ექიმები და მედლები, მონაზვნები და საერონი, ყოველდღე ინფიცირების საშიშროების წინაშე დგანან. მაგრამ მოყვასის მსახურება ჩვენი ვალია, ამიტომ უფალს და უწმიდეს ღმრთისმშობელს მივენდეთ და ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ვიცით, რომ

უწმიდესი პაპი და სრულიად ეკლესია ლოცულობს ჩვენთვის და ეს ძალას გვმატებს“, - აღნიშნა წმიდა სასოების კონგრეგაციის ჰებერის მისიის ხელმძღვანელმა. „ჩვენ ქრისტიანები ვართ. ამიტომ ვემსახურებით მათ, ვისაც უჭირს, მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. დღეს მობილიზებულია ჩინეთის ყველა კათოლიკური სამრევლო. საქმითაც და ლოცვითაც ვეხმარებით მათ, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება“, - აღნიშნა შაო ლინ კოუს სამრევლოს წინამძღვარმა მამა ვან ვეიმ სააგენტო Fides-თვის მიცემულ ინტერვიუში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰონგ კონგისა და სინგაპურის მთავარეპისკოპოსთა გადანყვეტილებით თებერვლის განმავლობაში ტაძრებში წმიდა წირვა არ აღევლინება. „ეკლესია საყოველთაო სიკეთისთვის იღვწის, ამიტომ სამრევლოებში ეს გადანყვეტილება უნდა შესრულდეს. მორწმუნეებს შეუძლიათ წმიდა წირვას თავისი გაჯეტების ეკრანებიდან ადევნონ თვალი, ილოცონ, თავიანთ სახლებში იკითხონ საკვირაო ლიტურგიული ტექსტები. მხოლოდ საჯარო წირვა არ აღევლინება, ტაძრების კარი კი ღია დარჩება მორწმუნეთათვის, რომელთაც ლოცვა ან აღსარება სურთ“, - განაცხადა ჰონგ კონგის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა ჯონ ტონგ ჰონმა.

ტაძარი სიხის ნასვლად

რუანდას დედაქალაქში, კიგალიში, უმოქმედო და ნახევრად დანგრეული ციხის ადგილას კათოლიკური ტაძარი აშენდება, „ციხეებს ეკლესიები და სკოლები გვირჩევნია“, - ნათქვამია დასავლეთ აფრიკის რეგიონის ეპისკოპოსთა კონფერენციის საგანგებო განცხადებაში. „დედაქალაქის მიქაელ მთავარანგელოზის საკათედრო ტაძარი ძალზე პატარაა და ყველა მორწმუნეს ვერ იტევს, ამიტომ ყველა მოუთმენლად ელის ახალ ეკლესიას“, - აღნიშნა ტაძრის მოძღვარმა, მამა ჟან-პიერ ნსაბუმანმა.

ბოლო ორი წლის მანძილზე რუანდას სხვადასხვა ქალაქში უსაფრთხოების მიზნით არაერთი ტაძარი, სასწავლო ცენტრი და სამედიცინო დაწესებულება დაიხურა. „ახალი ტაძრის მშენებლობის ცნობა იმედით ავსებს ჩვენს გულებს“, - აღნიშნულია ეპისკოპოსთა კონფერენციის განცხადებაში.



მსოფლიოს უხუცესი მონაზონი

11 თებერვალს მსოფლიოს უხუცესს მონაზონს, და ანდრეას 116 წელი შეუსრულდა. ხანდაზმულობის გამო იგი მსახურებას ვეღარ ეწევა და ამჟამად ტულონში, წმიდა ეკატერინე ლაბურეს მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს. 2009 წლამდე და ანდრეა წმიდა ვენსან დე პოლის კონგრეგაციის მისიონერი იყო.

"თავისუფალი ვარ"

ასე უწოდა ასია ბიბიმ თავის წიგნს, რომელშიც დევნის, პატიმრობისა და გათავისუფლების ამბავს აღწერს. წიგნი ფრანგ ჟურნალისტთან, ან-იზაბელ ტოლესთან თანაავტორობით დაიწერა. ასია ბიბი მოგვითხრობს, როგორ დააპატიმრეს, როგორ გაატარა ცხრა წელი სიკვდილმისჯილთა საკანში, როგორ დააღწია თავი ტყვეობას. ასევე, მოგვითხრობს კანადაში ადაპტაციის სირთულეებზეც. თუმცა, როგორც აღნიშნა ტოლემ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, ასია თავს კარგად გრძნობს და ტკბება თავისი თავისუფალი ცხოვრების ყოველი წამით. „მშვიდად ცხოვრობს, დიასახლისობს და შვილებზე ზრუნავს. წიგნში იგი მადლობას უხდის ყველას, ვინც ხელი შეუწყო მის გათავისუფლებას“, - აღნიშნა ჟურნალისტმა.



აშშ-ს აპისკოპოსთა მიმართვა მარკ პომპეოს

აშშ-ს კათოლიკე მღვდელმთავრებმა ქვეყნის სახელმწიფო მდივანს, მარკ პომპეოს გაუგზავნეს საგანგებო მიმართვა, რომელშიც ეჭვს გამოთქვამენ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის დარეგულირების ტრამპისეული გეგმის მიზანშეწონილობაში. „მხოლოდ ისრაელიანებსა და პალესტინელებს შეუძლიათ უთანხმოებათა დარეგულირება და მრავალწლიანი ჩიხიდან გამოსვლა. წმიდა საყდარი ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მხარი კონფლიქტის გადაჭრის მხოლოდ მშვიდობიან გზებს უნდა დაუჭიროს. უმთავრესი პირობა ისაა, რომ მხარეებმა ერთმანეთის ლეგიტიმურობა აღიარონ, აშშ-სა და პროცესებში ჩართული ყველა სხვა ქვეყნის ამოცანა კონფლიქტის მხარეთა თანამშრომლობის ხელშეწყობაა“, - ნათქვამია მიმართვაში. იერარქებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ ორივე მხარის ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ და დაიცვან ადგილობრივ ქრისტიანთა აღმსარებლობის უფლება და არ შეაფერხონ სხვა ქვეყნის მორწმუნეები, რომელთაც წმიდა ადგილების მოლოცვა სურთ.





მოგესალმებით სტამბოლიდან

2020 წლის 11 თებერვალს, ლურდის ღვთისმშობლის ხსენების დღეს, საქართველოდან, ტრადიციისამებრ, მოვილოცეთ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე, რომელიც 1861 წელს დააფუძნა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა, სადაც გარდაიცვალა 1890 წელს.

რატომ არის ეს სავანე ასე მნიშვნელოვანი ყოველი ქართველისათვის, როგორც კათოლიკესთვის, ასევე, არაკათოლიკესთვის? და რამ უბიძგა ახალგაზრდა მღვდელმსახურს სტამბოლში, საქართველოდან შორს, დაეარსებინა მონასტერი, დედათა და მამათა სავანე, ქალთა და ვაჟთა სკოლები, ბიბლიოთეკა და მრავალი სხვა რამ? ეს ის კითხვებია, რომელზედაც პასუხი შეგვიძლია მივიღოთ მრავალი ისტორიული წყაროდან. შოთა ლომსაძე გვამცნობს, რომ „XIX ს. 30-40-იან წლებში, როდესაც სამცხე-ჯავახეთი საქართველოს შემოუერთდა, დიდი ცვლილებები

მოყვა კათოლიკეთა სულიერ ცხოვრებას. 1845 წლიდან რუსეთის მთავრობის მიერ აიკრძალა საქართველოში ევროპიდან კათოლიკე მისიონერების შემოსვლა და მოღვაწეობა. ამ ყველაფერმა განსაკუთრებით სიტუაცია გაართულა ახალციხეში. ლათინი მოძღვრების განდევნას მოყვა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში შემორჩენილი ლათინური წესის (ლათინური ენით წირვა-ლოცვის) გაუქმება. ამ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ ლათინური წესის ეკლესიებში სომხური ლიტურგია და ენა დაამკვიდრა.“ რასაც დროთა განმავლობაში მოჰყვა ქართული ენის აკრძალვა. მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ხალხს თავიანთ სამშობლოში, თავიანთ მიწა-წყალზე, გადაგვარება ემუქრებოდა. „ამ საშიშროების წინაშე აღმოჩნდა დაახლოებით ოცდაათი ათასი ქართველი კათოლიკე“. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მესხეთში მისი გამოჩენილი

შვილები ასე იოლად შეეგუებოდნენ ბედს, მაშინ ისინი ქართული ენისა და კულტურის გარშემო გაერთიანდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი ქართველობა და კათოლიკობა. მათ შორის ერთ-ერთი იყო აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ქართველ კათოლიკეთა მხსნელად მოვლენილი.

მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლში „დააფუძნა მონასტერი ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზე და განამრავლა მღვდელ მონოზონნი და მოღოზნები“. როდესაც იგი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, მასთან იყო მხოლოდ ერთი მონაფე, ალფონს ხითარიშვილი, მერე შეუერთდნენ სხვა მონაფეებიც: ნებიერიძე, ივანე გვარამაძე და სტეფანე გიორგიძე, ახალციხელები, რომლებიც შემდეგ მონასტრის პირველი მღვდლები გახდნენ.

ერთხელ, სავანის წინამძღოლი პიო ბალიძე სანდრო სააკაშვილისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „მამა პეტრე იმთავითვე თავმდაბალი იყო, რომ არ თავილობდა მათხოვრობას. მალე ნაჩუქარ მიწაზე პატარა ეკლესია გააშენა, მას გვერდით მიადგა მცირე საცხოვრებელი ბინა. მოდით, მოვისმინოთ მისი ნათქვამი: „დილით სათხოვრათ გავდიოდი, საღამოთი მუშებს გავსწორებოდიო.“ აი, რა წვალებით მოახერხა ჩვენმა მოძღვარმა საკუთარი ბინის შეძენა, რომელმაც ნელში გამართა.“

ცნობილი ფრანგი მკვლევარი რემონ ჟანენი 1924 წელს პარიზში გამოცემულ თავის ნიგნში „საქართველო“ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში დაარსებული ქართული კათოლიკური ეკლესიის მიზანდასახულობას შემდეგნაირად ხსნის და განმარტავს: „თავისი თანამოძმე კათოლიკეებისადმი

დახმარების მიზნით, ახალციხელმა მღვდელმა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა კონსტანტინოპოლში დააარსა უმანკოების კონგრეგაცია. ახალი რელიგიური კერა დაფუძნდა ფერიქოვის უბანში, სადაც ააგეს ლურდის ღვთისმშობლის ეკლესია და სადაც ხშირად მოდიოდნენ მლოცველები. საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო ეროვნული სამღვდელოების შექმნა, რომელიც შესძლებდა წარმატებით ემოღვანა საქართველოში“.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი გვამცნობს, რომ 1914 წლის დასაწყისისთვის „კონგრეგაციაში ყოფილა ცხრამეტი მღვდელი, მათგან შვიდი საქართველოში მოღვაწეობდა მისიონერად, ორი მორჩილი ძმა, შვიდი მორჩილი, ორი მაძიებელი მორჩილი ძმა და თოთხმეტი კავკასიელი ყმანვილი სემინარისტი. ფერიქოვის მონასტრის გარდა, კონგრეგაციას კონსტანტინოპოლში ფაფასქუფრუს უბანში აქვს აგრეთვე ფრანგული ენის სასწავლებელი. ამასთანავე, მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა უმანკოების კონგრეგაციის მფარველობით ქალთა ერთობა ანუ დედათა სავანე დააარსა, რომელიც ფერიქოვშივეა. კონგრეგაციას აქვს, აგრეთვე, ერთი ფრანგული სკოლა დარდანელში და მეორე საქართველოში. მთლიანად აქ თხუთმეტი-ოცი მონაზონია“.

შევიართო ეკლესიაშიც და დავაცქერდეთ ღვთისმშობლის საკურთხეველს; ზევით დანერილია: „მარიამ ქართველთა მხსნელი“ და ქვევით, წმინდა საკურთხეველის ქვაზე: „მარიამ ღვთისმშობელო, ივერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ ჩვენ, ცოდვილთა ქართველთა“. მაღლა, სადაც ქალწული ნინო, თავისი ვაზის ჯვრით, უსიტყვოდ გვაძლევს ზეციურ კურთხევასა და ნუგეშს. სულით განახლებული

ნადი, ქართველო, და ჩაები ცხოვრების ორომტრიალში... შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილიშვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას.

ამ სავანეში აღზრდილები არიან ცნობილი მამები, მწერლები, მეცნიერები და სახელოვანი ერისკაცები: მამა ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მამა მიხეილ თამარაშვილი, მამა მიქელ თარხნიშვილი, მამა შალვა ვარდიძე, მამა ანდრია წინამძღვრიშვილი, მამა სტეფანე გიორგაძე, მამა იოსებ მერაბიშვილი, დედა ელისაბედ ბეძანიძე, მამა პიო ბალიძე, მამა ბენედიქტე ვარდიძე, მამა ალფონს ხითარიშვილი, მამა პეტრე ტატალაშვილი, ეთიოპიის მეფის სასახლის ექიმი პეტრე მერაბიშვილი (დოქტორი მერაბი), ასევე, სავანის ბოლო მსახური მამა პავლე ანდლულაძე (აკობაშვილი) და ეკლესია-მონასტრის თავდაუზოგავი ქომაგი, 1966-1989 წლებში ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე, თურქეთში ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი პავლე ზაზაძე.

დღეისათვის ამ სავანეში აღარ მსახურებენ ქართველი მამები, ამიტომაც ამ ჩვენს ძვირფას სავანეს იცავს და თავის ცხოვრებას უძღვნის ზაზაძეების ოჯახი, რომელიც ჩვენს ცხრაკაციან ჯგუფს დიდი სიხარულით დაგვხვდა, დაესწრო წმიდა წირვას, რომელიც ქართულ ენაზე აღავლინა მამა მერაბ ტატალაშვილმა. წმ. წირვის შემდეგ მათ დაგვათვალისწინეს ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ყველასათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი უამრავი ნიგნი და გაზეთი. ზაზაძეების ოჯახმა გულითადი მოკითხვა გადმოსცა საქართველოს ყოველ კათოლიკეს, რომელთაც მოუთმენლად ელიან ამ წმიდა ადგილას.

ბაქა ჩილინგარაშვილი



საეპარქიო ნაკვლავი ჰერტრუდა დეტცელის ცხოვრების, გმირული სათნოებისა და სინამდის შესახებ

ჰერტრუდა დეტცელის ბიოგრაფია

ჰერტრუდა დეტცელი დაიბადა 1904 წლის (ზოგიერთი მონაცემით 1903 წელს) 8 ნოემბერს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ყუბანში, სოფელ როუდესტვენსკოეში, გერმანელი კოლონისტის, ვილჰელმ დეტცელის კათოლიკურ ოჯახში. ამჟამად სტაეროპოლის მხარე, ქ. ნევიზომისკი, როუდესტვენსკის მიკრორაიონი.

ამ მხარეში კათოლიკური საკრებულო ჯერ კიდევ 1884 წელს ჩამოყალიბდა. საკრებულო მიეკუთვნებოდა პიატიგორსკის დეკანატს. კოლონიას ჰქონდა საკუთარი ხის ეკლესია. 1884-1886 წლებში წინამძღვარი იყო მღვდელი კონრად კელერი. იოზეფ შური ასახელებს კიდევ ორ წინამძღვარს: ალოიზ შიონფელდს (1898-1903) და იოჰანეს ბაილმანს (1905-1909). სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, არ მოგვეპოვება ცნობები მღვდლის შესახებ ყოფილ როუდესტვენსკოეში, 1904 წელს, როცა დაიბადა ჰერტრუდა დეტცელი. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იგი მონათლა მამა ი. ბაილმანმა ან ვინმე სხვამ.

ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. ჰერტრუდა იყო მეოთხე ბავშვი, აღზრდილი ძლიერი კათოლიკური ტრადიციების მქონე ოჯახში, ეკლესიის ორგანიზაციის ქალიშვილი, მას ბავშვობიდანვე უყვარდა საეკლესიო გალობა, თავადაც საუცხოოდ გალობდა, წირვის დროს კი ხარბად იწოვდა ყველაფერს, რაც ქადაგებაში იყო ნათქვამი. მოხსენებულია აგრეთვე, რომ ჰერტრუდა „სწავლობდა გიმნაზიაში, იცოდა გერმანული, ფრანგული და ლათინურიც კი.“

ცნობილია ასევე, რომ ჰერტრუდა გარკვეული დროით ცხოვრობდა თბილისში. იგი ხშირად ესაუბრებოდა თბილისის წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს ეკლესიის წინამძღვარს, მამა ემანუელ ვარდიქს.

ომის დაწყებისას ჰერტრუდა დეტცელი, როგორც ასაკობრივად შესაფერისი და უშვილო ქალი, გაგზავნილ იქნა სამხრეთ ყაზახეთის ქალაქ პახტა არალში, სადაც თანამემამულეებთან ერთად კრფოდა ბამბას. 1943 წელს ჰერტრუდა სამუშაოდ გაგზავნეს გურიევის ოლქში, სადაც სხვა გერმანელ ქალებთან ერთად მუშაობდა ბაიჩუნასის ნავთობსარეზში. ამ პერიოდში ჰერტრუდა შეუწელებლად იღვწის ასევე სახარების საქადაგებლად, იგი ყოველდღიურად, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, პოულობს დროს ღმერთისთვის, ხოლო კვირაობით ჰერტრუდას წინამძღოლობით იკრიბებიან საერთო ლოცვისათვის. მრავალგზის დაასმინეს ჰერტრუდა, ასე რომ, 1949 წლის 7 სექტემბერს იგი დააპატიმრეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს ათწლიანი იძულებითი შრომა გამასწორებელ კოლონიაში.

ვიდრე ჰერტრუდა სასჯელს იხდიდა ბანაკში, მის ირგვლივ შეიკრიბა მლოცველთა ახალი ჯგუფი, ხოლო როდესაც 1954 წლის ამნისტიის დროს ციხის უფროსი გაეცნო ჰერტრუდა დეტცელის საქმეს, მან მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება, ემუშაუდგოდა მისი ვადამდელი გათავისუფლებისათვის: „ეს გერმანელი ქალი სასწრაფოდ უნდა გამოვუშვათ, თორემ მისი შემხედვარე, მალე აქ ყველა ლოცვას დაიწყებს.“

სასამართლო პროცესზე ჰერტრუდას დანაშაულებრივ მოქმედებათა წაკითხვისას: „ასწავლიდა ხალხს, ნათლავდა, კრძალავდა, ნახულებდა ავადმყოფებს,“ - მოსამართლენი, ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ, მივიდნენ ერთობლივ აზრამდე: „ჩვენს წინაშეა წმიდანი“. გათავისუფლების შესახებ დადგენილების წაკითხვის შემდეგ ჰერტრუდამ ჯერ ღმერთს გადაუხა-

და მადლობა (რადგანაც ყველა სიკეთე ღვთისგანაა), მერე კი - ხელისუფლებასა და ყველა იქ დამსწრეს. სიტყვით წარდგომისას მან განაცხადა: „მე კათოლიკე ვარ, ჩვენი რწმენა ჩვენგან მოითხოვს, რომ მთელი ჩვენი ცოდნა გადავცეთ მოყვასს და დავეხმაროთ მას, რადგან რასაც აკეთებ მოყვასისთვის - აკეთებ ღმერთისთვის.“

ბანაკში სასჯელის მოხდის შემდგომ ჰერტრუდა ყარაგან-დამი დასახლდა. აქ იგი გახდა პირველი თანამემამულე მღვდლისა, რომელიც არალეგალურ მსახურებას ეწეოდა და მორწმუნეთა იატაკქვეშა რელიგიური ცხოვრების ორგანიზატორი იყო. ჰერტრუდა თავს უყრიდა მლოცველთა ჯგუფებს, ლოცულობდა სავარდის, კითხულობდა წმიდა წერილს, შეძლებისდაგვარად ენაცვლებოდა მღვდელმსახურს.

ჰერტრუდა დეტცელი 1971 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა მაიკუდაკის სასაფლაოზე, ყარაგანდამში. უკვე დღეს მის საფლავზე ხშირად მიდიან მომლოცველები.

დასასრულ, მსურს წავიკითხო ეპისკოპოს ვერტის ჩვენება: „უნდა ითქვას, რომ ჰერტრუდა იყო წმიდა ადამიანი. ასეთ ადამიანებს მე ალბათ მეტად არ შევხვედრივარ. ყველა, ვინც კი მას იცნობდა, იმავს ამბობს“.

მღვდელი სერგეი ბაბაჯანიანი
სარატოვი

26.01.2020

ედიქტი

ქვემოთ ხელისმომწერი ეპისკოპოსი კლემენს პიკელი წმიდა კლიმენტის ეპარქიის ორდინარი სარატოვში,

სადაც, 2019 წლის 26 აგვისტოდან, პროტ. 3478-1/19, წმიდანთა საქმეებთან დაკავშირებული კონგრეგაციის რასკრიპტით, ჰერტრუდა დეტცელის (1904-1971) ბეატიფიკაციის კანონიკური პროცესი გადატანილ იქნა ყარაგანდის ეპარქიიდან წმიდა კლიმენტის ეპარქიაში, სარატოვში,

მღვდელმსახურ სერგეი ბაბაჯანიანის პოსტულატორად დანიშვნის შემდეგ და მისგან „Supplices Libellus“ - პოსტულატორის მიერ პროცესის გახსნის თხოვნა - მიღების შემდეგ გაიცა განკარგულება, გავრცელდეს მოცემული ედიქტი ქ. სარატოვის საკათედრო ტაძარში, ყარაგანდის (ყაზახეთი) საკათედრო ტაძარში, ჰერტრუდას დაბადებისა და გარდაცვალების ადგილზე და თბილისის საკათედრო ტაძარში.

სახალხოდ აცხადებს

განზრახვას, დაიწყოს საეპარქიო კვლევა ჰერტრუდა დეტცელის ცხოვრების, გმირული სათნოებისა და სინამდის შესახებ.

ედიქტი მიმართულია

არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების, მღვდელმსახურების, ერთგული კათოლიკეების, მართლმადიდებლებისა და სხვა მორწმუნეებისადმი. თუ ვინმე ფლობს რაიმე მონმობას, სასარგებლო და მნიშვნელოვან ინფორმაციას პროცესის სასარგებლოდ ან მის საწინააღმდეგოდ, ამ მომენტამდე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელს, გთხოვთ, მაცნობოთ ამის შესახებ საეპარქიო პროცესის ოფიციალურად დაწყებამდე. მოცემული ედიქტი დართული ექნება საეპარქიო პროცესის აქტებს.

დაე, გარდმოგვივლინოს უფალმა კურთხევა ჰერტრუდა დეტცელის ბეატიფიკაციის პროცესზე და შეგვეწიოს, რათა დავასრულოთ იგი.

სარატოვი, 26 იანვარი, 2020 წელი
თარგმან პირიპო ნოზაჩი



Clemens Pickel
Divina Miseratione et Sanctae Sedis Gratia
Episcopus Dioecesis Sancti Clementis in Saratov

ЭДИКТ

**Нижеподписавшийся Епископ Клеменс Пиккель
ординарий епархии Святого Климента в Саратове,**

куда был переведён Канонический Процесс Беатификации Гертруды Детцель (1904-1971), рескриптом Конгрегации по Делах Святых от 26 августа 2019, прот. № 3478-1/19, из епархии Караганды в епархию Святого Климента в Саратове,

после назначения Постулятором священника Сергея Бабаджаняна и после получения от него “Supplices Libellus” - прошение постулятора об открытии Процесса - распоряжается обнародовать данный эдикт в Кафедральном Соборе в г. Саратове, в Кафедральном Соборе г. Караганды (Казахстан), в месте проживания и смерти Гертруды и в Кафедральном соборе г. Тбилиси.

Публично объявляет

о намерении открыть Епархиальное Исследование по Процессу о жизни, героических добродетелях и святости Гертруды Детцель.

Эдикт направлен

Архиепископам, Епископам, священникам, верным католикам, православным и другим верующим. Если кто-то располагает какими-либо сведениями, полезной и важной информацией в пользу Процесса или против него, ещё не опубликованными до настоящего момента, просьба сообщить мне об этом перед официальным началом Епархиального Процесса. Данный эдикт будет приложен к Актам Епархиального Процесса.

Да ниспошлёт Господь Своё благословение на Процесс беатификации Гертруды Детцель и поможет нам привести его к завершению.


Епископ Клеменс Пиккель,
Ординарий Епархии Святого Климента в Саратове


с. Эмилия Рудер
секретарь курии

Саратов, 26 января 2020 г.

თამაზ აფრიამაშვილის დიაკვნად კურთხევა



27 იანვარი საქართველოში წმიდა ნინოს ხსენების დღეა. იგი არის მოციქულთა სწორი, საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი. წმიდა ნინო კაბადოკიიდან შემოვიდა საქართველოში ჯავახეთის გავლით და ამიტომ მისი დღესასწაული აღინიშნება წელიწადში ორჯერ, 1 ივნისს (ჯავახეთში შემოსვლა) და 27 იანვარს (გარდაცვალება). საქართველო ოფიციალურად ქრისტიანულ ქვეყნად მიიჩნევა მეოთხე საუკუნიდან, მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის მმართველობის პერიოდიდან. წმიდა ნინო საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველია. 2020 წელს კი წმიდა ნინოს ხსენების დღე განსაკუთრებულად აღინიშნა სოფელ არალში, ვინაიდან ამ დღეს თამაზ აფრიამაშვილი, რომელიც ამავე სოფლის მკვიდრია, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ დიაკვნად აკურთხა. დიაკვნობა მღვდლობის წინა სასულიერო საფეხურია. ხელდასხმის სადღესასწაულო წმიდა წირვას ეპისკოპოსთან ერთად ესწრებოდა მისი აღმატებულება, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მეუფე ჟოზე აველინო ბეტენკური, სხვა მღვდლებთან, დიაკვნებთან, ბერ-მონაზვნებთან, სემინარიელებთან და სხვადასხვა სამრევლოს წევრებთან ერთად. ამ დღისთვის სპეციალურად ჩამოვიდა ყაზახეთის სასულიერო სემინარიის სულიერი მოძღვარი მამა პეტრე საკმარი.

თამაზ აფრიამაშვილი დაიბადა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალში, 1991 წლის 14 ივლისს. მან 2007 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საჯარო სკოლა, 2010 წელს დაიწყო მომზადება სემინარიაში შესასვლელად; 2012 წელს, მამა იეჟი შიმეროვსკის ნებართვითა და მეუფე ჯუზეპე პაზოტოს კურთხევით, იგი შეუდგა სასულიერო სემინარიის გზას ყაზახეთში, სემინარიის ფორმაცია მან 2019 წელს დაასრულა და დაბრუნდა საქართველოში, სადაც იგი აგრძელებდა სამწყსო პრაქტიკას კათოლიკურ სამრევლოებში.

ქადაგებისას ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ხაზი გაუსვა მოწოდების არსს და პარალელი გაავლო მარიამისა და წმიდა ნინოს მოწოდებასთან და მათ პასუხთან ღმერთის მოხმობაზე. თამაზ აფრიამაშვილმა ხელდასხმის დროს დადო ფიცი მორჩილებისა და სისპეტაკისა, მიიღო სახარება ნიშნად იმისა, რომ მიიტანოს იესოს სიტყვა ყველგან, დიაკვნის სპეციალური შესამოსელი - ნიშნად სისპეტაკისა, ხოლო წინაფარი - ნიშნად მსახურებისა და მორჩილებისა. წირვის დასასრულს კი, დიაკვანმა თამაზ აფრიამაშვილმა ყველას მოკრძალებული მადლობა გადაუხადა და სხვადასხვა სამრევლოს წარმომადგენლები მიიწვია სადილად. თამაზ აფრიამაშვილი განაგრძობს დიაკვნად მსახურებას თავის მშობლიურ სოფელ არალში წინამძღვარ მამა ანჟეი გრაჩეკთან ერთად.

შოთა გიჟოშვილი

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვა 20 წლის გადასახედიდან



„საშინელი სამსჯავროს უკანასკნელ საათს ყოველმა ადამიანმა უნდა უპასუხოს კითხვას, ხელს უწყობდა თუ არა ქრისტიანთა ერთობას, ლოცულობდა თუ არა იგი, იღვწოდა თუ არა ამისათვის, განიცდიდა თუ არა ამ ერთობის მძაფრ მოთხოვნილებებს, აიღო თუ არა მან თავის თავზე პასუხისმგებლობა, მოქცეულიყო ბრძნულად და უბრალოდ, ყოფილიყო მომთმენი და წინდახედული და განახორციელა თუ არა მან ცხოვრებაში სიყვარულის კეთილი სწრაფვები“.

წმინდა პაპი იოანე XXIII, 1963 წლის 25 იანვარი

რომის პაპმა იოანე XXIII-მ ვატიკანის II მსოფლიო საეკლესიო კრების მონვევის გადაწყვეტილება ქრისტიანთა ერთობისათვის მოწოდებული ყოველწლიური ლოცვის დაწესების 50-ე წლისთავს დაამთხვია. რეფორმატორმა პაპმა მსოფლიო კრების მონვევის შესახებ სწორედ 1963 წლის 25 იანვარს აუწყა კათოლიკურ სამყაროს. ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, თუ რა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა პაპი იოანე XXIII ქრისტიანთა ერთობას.

ზუსტად 20 წლის წინ, 2000 წელს, თბილისში რომის კათოლიკე, სომეხთა სამოციქულო, ლუთერულ-ევანგელური და

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლებმა, მართლმადიდებელ სამღვდელთა თანამონაწილეობით, შექმნეს სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა მოემზადებინა ყოველწლიური ინტერკონფესიური შეხვედრები და ორგანიზაცია გაეწია ერთიანობისათვის ლოცვების ჩატარებისთვის.

განვლილი ორი ათწლეულის მანძილზე, ქრისტიანულ ეკლესიათა სამუშაო ჯგუფის ერთიანი ძალისხმევით, თბილისში მოქმედი ოთხი გავლენიანი ქრისტიანული კონფესიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ინტერკონფესიული ლოცვები. მასში მონაწილე მორწმუნე-

ბს ორგანიზატორი ეკლესიები მორიგეობით მასპინძლობენ თავიანთ საკათედრო ტაძრებში. ამ ლოცვებში ინდივიდუალურად სისტემატურად მონაწილეობენ მართლმადიდებელი მღვდელმსახურები და მორწმუნეები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქრისტიანთა ერთობა, „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკ. 2, 14).

პირველ ეტაპზე ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვების ჩატარება არცთუ მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მართლმადიდებელ ექსტრემისტთა ჯგუფები ცდილობდნენ, ჩაეშალათ ეს ლოცვები. 2003 წლის იანვარში, როდესაც ლოცვას თბილისის

ბაპტისტური ტაძარი უწევდა მასპინძლობას, რელიგიურ ექსტრემისტთა ჯუფებმა გადაკეტეს ტაძრის შესასვლელი, ხოლო ტაძარში გამაგრებულ ბაპტისტ მორწმუნეებს ექსტრემისტთა ნამდვილი შტურმის მოგერიება მოუხდათ. უცხოეთის ელჩების კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ იძულებული გახდა, აელაგმა ექსტრემისტთა პროტესტები და რამდენიმე დღის შემდეგ ბაპტისტთა ტაძარში თავად პრეზიდენტი შევარდნაძე დაესწრო განმეორებით ჩატარებულ ერთობლივ ღოცვას. 2004-2011 წლებში ერთობისათვის ღოცვებს სტუმრობდნენ ცალკეული სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის ე.წ. ცნობადი სახეები, 2012 წლის შემდეგ მოსული ხელისუფლება ალბათ მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობების ხმები არჩევნების დროს არ დასჭირდება და ამიტომ თავსაც არ იწუხებს არც მათთან სტუმრობით, არც ეკუმენურ ღოცვებზე და დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე დასწრებით. ეს არის ჩვენი რეალობა, როცა ხელისუფლებისათვის ადამიანები მხოლოდ ელექტორატად განიხილებიან.

2020 წლის 24 იანვარს, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის თბილისის მშვიდობის კათედრალმა კვლავ უმასპინძლა ქრისტიანთა ერთობისადმი მიძღვნილი ყოველწლიური კვირეულის დამასრულებელ საზეიმო მსახურებას. ერთიანობისათვის ღოცვაში მონაწილეობდნენ კათოლიკე ეკლესიის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის თბილისის ეპარქიის, სამხრეთ-კავკასიასა და საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მღვდელმთავრები, სასულიერო პირები, მგალობლები და მრევლის წევრები, ყველა,

ვისაც კი მართლა გული შესტკივა ქრისტიანთა ერთობაზე. ღოცვაში მონაწილეობდა მისი აღმატებულება, არქიეპისკოპოსი ჟოზე ბეტენკური, წმინდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში. ქრისტიანთა ერთობისათვის ღოცვას არ ესწრებოდნენ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პირველთა დასწრებას ზემდგომის დავალება განსაზღვრავს, ხოლო არასამთავრობოების აქტივობას - არსებული გრანტის მოთხოვნები. ეკუმენურ ღოცვას უცხოეთში ვიზიტის გამო არ ესწრებოდა მისი ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ბაპტისტური ეკლესიის თბილისის მიტროპოლიტი მეუფე მალხაზი. მისი არყოფნა ყოველთვის კვალს ტოვებს ეკუმენურ ღოცვებზე მონვეული სტუმრების რაოდენობაზე, ამის შესახებ ჯერ კიდევ 2011 წელს აღნიშნავდა ბაპტისტური ეკლესიის პრეზიდენტი ეპისკოპოსი მერაბ გაფრინდაშვილი, რომ „ჩვენი არქიეპისკოპოსის, ბატონ მალხაზ სონღულაშვილის არყოფნა ძალიან აკლია ეკუმენურ შეხვედრებსაც და ჩვენს ეკლესიასაც“. 2020 წლის ეკუმენური ღოცვის დროსაც საკმაოდ შესამჩნევი იყო ეს.

2020 წლის ერთიანობისათვის ღოცვა მალტაზე მომზადდა. მალტა გამორჩეული კუნძულია ქრისტიანულ სამყაროში. საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, ახ. წ. 60 წელს, ხმელთაშუა ზღვაში ხომალდის ჩაძირვის შემდგომ, პავლე მოციქულმა და ხომალდის სხვა მგზავრებმა რამდენიმე დღე გაატარეს ამ კუნძულზე და მალტელთა ფილოქსენია (უცხოხადში სიყვარული) და ფილანთროპია (კაცთმოყვარეობა) საკუთარ თავზე გამოსცადეს.

წლეწანდელი ერთიანობისათვის ღოცვის მთავარი დევიზი

გახლავთ ფრაზა მოციქულთა საქმეების წიგნიდან: „დიდი კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს ჩვენდამი“ (საქმე 28, 2). ამ თავის მთავარი გზავნილი კი სწორედ პავლე მოციქულის ხომალდის ჩაძირვის შემდგომ გადარჩენილი ორას სამოცდათექვსმეტი მგზავრის კუნძულ მალტაზე გარიყვასა და მათდამი მალტელთა მიერ გამოჩენილ სტუმართმოყვარეობას ეხება. ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსის,



მეუფე ილია ოსეფაშვილის ქადაგებაშიც მთავარი აქცენტი სწორედ „დიდ კაცთმოყვარეობაზე“, ადამიანურობის გამოვლენასა და გაყოფილი ხალხის გაერთიანებაზე გაკეთდა. ის მალტელები, რომლებმაც კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს პავლესა და მისი თანამგზავრების მიმართ, წარმართები იყვნენ, ჯერ არ იცნობდნენ ქრისტეს, მაგრამ მათ „დიდი კაცთმოყვარეობა“ გამოიჩინეს, სტუმართმოყვარეობა და კაცთმოყვარეობა აუცილებელი სათნოებაა ქრისტიანთა ერთობისათვის. კაცთმოყვარეობა სხვა კულტურის, აღმსარებლობის ადამიანთა მიმართ დღეს, რო-

გორც არასდროს, ისეთ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ გლობალურ სამყაროში, სადაც ყოველდღიურად ათასობით ადამიანი სახიფათო მოგზაურობაში, იძულებულ ემიგრაციაში იმყოფება. უცხო მიწაზე მათაც, ისევე როგორც ამ 2000 წლის წინ მალტაზე გარიყულ მგზავრებს, სჭირდებათ კაცთმოყვარეობა და დახმარების ხელი. მალტელთა საქციელი, მათი გულუხვობა და კაცთმოყვარეობა უნდა იყოს მი-



საბაძი ყველა ჩვენგანისათვის.

ერთგვარად სიმბოლური გახლდათ პავლე მოციქულის მალტაზე ყოფნის ეპიზოდთან დაკავშირებული ვრცელი საკითხავის ქართულ ენასთან ერთად მალტურად ნაკითხვაც თბილისში მცხოვრები ნეოკატექუმენური საკრებულოს წევრის, მალტელი კათოლიკეს, **ჯოზეფ (იოსებ) ბუჰაჯარმის** მიერ. ერთიანობისათვის ლოცვის მსახურებას ბაპტისტური, ლუთერული და კათოლიკური სამრევლოების მაგალობლები ასრულებდნენ. არ შეიძლება, არ გამოვყოთ თბილისის ლუთერული საკათედრო ტაძრის მაგალობელთა გუნდი და მისი

ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქალბატონი **ნატალია ჩაგანავა**. გუნდის მიერ ქართულ, გერმანულ და ლათინურ ენებზე მაღალპროფესიულად, დახვეწილი ვოკალითა და, რაც მთავარია, ემოციით შესრულებულმა საგალობლებმა დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია და უფრო შთამბეჭდავი გახდა ერთიანობისათვის ლოცვაში თანამონაწილეობა. მსახურების დასრულების შემდგომ მასპინძლებმა ყველა სტუმარი ტრაპეზზე მიიწვიეს, სადაც უშუალო და გულითად ატმოსფეროში გაგრძელდა ერთიანობის ლოცვაში მონაწილეობით მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება. გთავზობთ წლევანდელი საიუბილეო ერთიანობისათვის ლოცვის ორგანიზატორთა შთაბეჭდილებების მოკლე ამონარიდს.

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი ილია ოსეფაშვილი:

წლევანდელი ლიტურგია სტუმართმოყვარეობას მიეძღვნა. 21-ე საუკუნის ქრისტიანები ამ კუთხით გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც დახმარება სჭირდებათ. მზად ვართ თუ არა, ადამიანებს, განურჩევლად მათი რასობრივი, ეროვნული, რელიგიური თუ სხვა იდენტობისა, დახმარების ხელი გაუწოდოთ და ღმერთის უპირობო სიყვარული ვაგრძნობინოთ? ვფიქრობ, მალტელებისაგან ნამდვილი სტუმართმოყვარეობა შეგვიძლია ვისწავლოთ.

სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მღვდელი მამა ნარეკ ლუშჩიანი: უკვე 20 წელია, საქართველოში მოქმედი ქრისტიანული კონფესიები ერთად აღავლენენ ეკუმენურ ლოცვებს. მინდა აღვნიშნო, რომ მთელი წლის განმავლობაში ქრისტიანულ ეკლესიებს შორის თანამშრომ-

ლობა საკმაოდ ინტენსიურია, ჩვენ მუდმივად ვიღვნიტ ღვთის სადიდებლად. მაღლობა ღმერთს, რომ არსებობს ეს დღე, როდესაც ჩვენ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ქრისტიანებთან ერთობაში აღვაგვლენთ ლოცვებს უფლის მიმართ, გულებს ვხსნიტ სიყვარულის, სიკეთის, შენდობისა და მიტევებისათვის.

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე:

საქართველოში ქრისტიანთა ერთობისათვის ეკუმენური ლოცვის ტრადიცია უკვე ორ ათეულ წელს ითვლის. ეს ტრადიცია აჩვენებს, რომ ქრისტიანული ეკლესიების თანამშრომლობა არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობისა თუ ადამიანის უფლებათა სფეროშია შესაძლებელი, არამედ ლიტურგიულ გარემოშიც. ქრისტიანთა თანალოცვა, ერთი მხრივ, არის მაცხოვრის უკანასკნელი ლოცვის ხორცშესახმა -, „რათა ისინი ერთნი იყვნენ“, და იმის მაგალითი, რომ განსხვავებების კედლები, რომლებიც ადამიანებმა ავაგეთ, ზეცამდე ვერ აღწევს.

ჯოზეფ ბუჰაჯარი, ნეოკატექუმენური საკრებულო: მე, ჩემს მეუღლესთან და რვა შვილთან ერთად, 2005 წლიდან ვცხოვრობ საქართველოში, რათა ჩვენთვის უცხო გარემოში დავამოწმოთ ქრისტეს რწმენა. ამ ერთიანობისათვის ლოცვაზე სრული სისავსით ვხედავ ჩვენი შემოქმედის მშვენიერებას, ერთ ეკლესიად გაერთიანებულ მის მარადიულ სასუფეველს. ვიმყოფები რა პირველად ამ ერთობლივ ლოცვაზე, აღფრთოვანებული ვარ ქრისტიანთა ერთიანობის საოცარი ატმოსფეროთი, სახარების საკითხავები, ფსალმუნების გალობა, ლიტურგია აძლიერებს ერთიანობის განცდას. თუმცა იმაზეც ვფიქრობ, გაგვყვება კი ქრისტიანებს ეს განცდა ჩვენს ყოველდღიურ

ცხოვრებაში?

მამა გაბრიელე ბრაგანტინი: როდესაც ლოცვაში ვმონაწილეობ ამ ტაძარში, უნებურად მახსენდება ის დრო, ბასილ მკალავიშვილის ჯგუფმა ალყაში რომ მოაქცია ეს ეკლესია და ეკუმენური ლოცვის მსვლელობა შეაფერხა... მას მერე დიდი დრო გავიდა და ვკითხულობ, გაუმჯობესდა ეკუმენური მდგომარეობა საქართველოში? დიახ, ახლა მსგავს ფაქტებს ადგილი აღარ აქვს... თუმცა, ეკუმენური ვითარება, გარკვეულწილად, ჯერ კიდევ მძიმეა... გათიშვის ცოდვა ისევ ავლენს თავის შედეგებს... ამიტომაც, ასეთ ვითარებაში ყველაზე აუცილებელია ლოცვა, როგორც პირადად, ასევე ერთობლივად, ეკლესიათა შორის დიალოგის ძიებისა და სხვადასხვა ინიციატივების პარალელურად.

მამა ზურაბ კაკაჩიშვილი: ნელს ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის ეკუმენურ ღვთისმსახურებაში პირველად მივიღე მონაწილეობა კათოლიკე ეკლესიის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის როლში, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც, მიუხედავად განსხვავებისა, იქ მოსული ხალხის სახეებზე დავინახე ერთობის სურვილი. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ვმსახურებდი სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა სამრევლოში, ასეთი ლოცვები ტარდებოდა როგორც კათოლიკურ, ასევე, სომხურ სამოციქულო და სომხური წესის კათოლიკურ ეკლესიებში. ერთი შეხედვით, თითქოს ამ ლოცვებს აზრი არა აქვს, რადგანაც სასურველ შედეგს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ - ვერა და ვერ მოხერხდა ამ ლოცვაზე შეკრებილიყო ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის სასულიერო პირი და მორწმუნე ერი. თუ გადავხედავთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს, ამ ლოც-

ვის შედეგი საკმაოდ ნათლად ჩანს. მაგალითად, პოლონეთში კათოლიკე, მართლმადიდებელმა და პროტესტანტულმა ეკლესიებმა ხელი მოაწერეს საერთო დეკლარაციას ნათლობის ურთიერთღიარების შესახებ.

დაბოლოს, ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვებს თბილისში დიდი ტრადიცია აქვს, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში ყოველ იანვარს აღესრულებოდა ეს ლოცვები. პირველად 1986 წელს მომინია მასში მონაწილეობა და მას შემდეგ სისტემატურად ვესწრები. ქრისტიანთა ერთობა გახდა მთავარი მოწოდება. თვალი რომ გადავაკო ამ 34 წელიწადს და საკუთარ თავს დავუსვა კითხვა: მთელი ამ პერიოდის მანძილზე შეიცვალა კი რაიმე ეკლესიათა დაახლოების კუთხით? ეს საკვებით ლეგიტიმური კითხვაა საქართველოში მცხოვრები ყველა ქრისტიანისათვის. მთავარი ის გახლავთ, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში მართლაც იგრძნობოდა კონფესიური თანამშრომლობის სულისკვეთება, 90-ანი წლებიდან დომინანტი ეკლესიის მხრიდან ერთიანობის სურვილი რადიკალურად შეიცვალა. არც პროტესტანტული დე-

ნომინაციები გამოირჩეოდნენ ამ კუთხით. თუმცა ბოლო წლებში მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს, ისაა, რომ ქრისტიანთა ერთობა, თანამედროვე გააზრებით, სრულიადაც არ ნიშნავს ყველა კონფესიის ერთ ეკლესიად გაერთიანებას. ეს არის სხვადასხვა ეკლესიის სურვილი, ერთად ემსახურონ ქრისტეს და აკეთონ კეთილი საქმეები, ამ მხრივ კი, წინ გადადგმულ ნაბიჯები, მოშურნე უნდა იყო, რომ არ დაინახო. 20 წლის წინ დაწესებული ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვა, რომელშიც ოთხი ეკლესია გაერთიანდა, უკვე დიდი ნიშანია. იანვრის ლოცვებთან ერთად, ეს ოთხი ეკლესია მუდმივად თანამშრომლობს ერთმანეთთან კაცთმოყვარეობით და კეთილ ქრისტიანულ მაგალითს აძლევს რეგიონის სხვა კონფესიებს. ერთ წელიწადში, ან თუნდაც ათწლეულში, ძნელია ასწლეულობის განმავლობაში შეცვლილი მენტალობის კარდინალური გარდაქმნა, მაგრამ ამისათვის მუდამ უნდა ვიღვწოდეთ, რათა „სამინელი სამსჯავროს უკანასკნელ საათს“ პასუხის გაცემა არ გაგვიჭირდეს.

ნუგზარ ბარდაველიძე





ეკლესიის სოციალური სწავლების პროექტი

ეკლესიის სოციალური სწავლების პროექტი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის კიდევ ერთი ექსკლუზივია. ისე როგორც სხვა უამრავი სიახლე, ამ პროექტითაც ჩვენი უნივერსიტეტი არ ღალატობს ტრადიციას და, ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო სივრცეში შემოაქვს საქართველოსთვის სრულიად ახალი და ევროპაში უკვე დიდი გამოცდილების მქონე პროექტი, რომლის რეალური დანიშნულება საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაა.

თავად ეკლესიის სოციალური სწავლება ეხება რელიგიის არა წმინდა თეოლოგიურ ასპექტებს, არამედ ამ ასპექტების რეალურ ცხოვრებაში დანერგვისა და ამოქმედების საკითხს. უფრო კონკრეტულად კი, ეკლესიის ხედვას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა პიროვნების ჩამოყალიბება, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთგავლენა, ადამიანის სამუშაო, ეთიკა, ეკონომიკა, პოლიტიკა, და


მათზე მორალის, სოლიდარობის, სუბსიდიარობის, კეთილდღეობისა და სამართლიანობის პრინციპების ზემოქმედება. გარდა ამისა, ეკლესიის სოციალური სწავლების კვლევის საგანს წამოადგენს ეკლესიის როლის განსაზღვრა გარემოს დაცვასა და საყოველთაო მშვიდობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება უშუალოდ ეკლესიის სოციალური სწავლების პროექტის შინაარსს, აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგ-კურსების ჩატარება ოთხ ბლოკად, რომელიც მიზნად ისახავს ტრენინგების მომზადებას. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 23 იანვარს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გაიმართა პირველი გაცნობითი შეხვედრა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, კონფესიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან, სადაც პროექტისა და სამომავლო გეგმების შესახებ იყო საუბარი. ამავე შეხვედრაზე შეიქმნა მრჩეველთა საბჭო,

რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროექტის მიმდინარეობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის უკვე დაგეგმილია ოთხი ტრენინგ-კურსი. პირველი ტრენინგ-კურსი ჩატარდება მიდინარე წლის 30 მარტიდან 1-ლი აპრილის ჩათვლით. ამ კურსის ფარგლებში მსმენელების წინაშე წარდგება ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვაჟა ვარდიძე, რომლებიც ისაუბრებენ თემაზე - „ღმერთის ჩანაფიქრი კაცობრიობის მიმართ (სიყვარულის საიდუმლო)“. აღნიშნული კურსის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს ასევე გერმანელი პროფესორი ლარს შაფერსი, რომელიც სპეციალურად ამ ტრენინგისთვის ეწვევა საქართველოს და ისაუბრებს თემაზე „ეკლესია და საზოგადოება“ და პეტერ შალემბერგი, ვატიკანის ეკლესიის სოციალური სწავლების კომისიის პასუხისმგებელი პირი.

ქეთევან პლაჟიავილი



„წმიდანი... საქართველოში“

წმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი - მოხსენიების დღე - 6 მარტი

წმიდა მონამე ცხრა კოლაელი ყრმა VI საუკუნეში აღესრულა მონამებრივად. ისინი მდინარე მტკვრის სათავესთან, სოფელ კოლაში (ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე) საკუთარ მშობელთა მიერ იქნენ ჩაქოლილნი ქრისტეს აღსარებისათვის.

წმ. იოანე IV (V) ოქროპირ-კათალიკოსი - მოხსენიების დღე - 16 მარტი

წმიდა იოანე ოქროპირ-კათალიკოსი დაახლოებით 980-1001 წლებში განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. კათალიკოს ბასილი III-ის თხოვნებში „თხრობაი სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოსა“ მოთხრობილია, რომ წმიდა იოანეს მშობლებს დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. მას შემდეგ კი, რაც წმიდა შიო მღვინელის მეოხებით შეეძინათ ძე, ის აღსაზრდელად მისსავე მონასტერში მიაბარეს. სწორედ აქ შეიძინა წმიდა იოანემ ის სინმიდე და სიბრძნე, რის გამოც ერმა მას ოქროპირ-კათალიკოსი უწოდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილია მეორე იოანე ოქროპირ-კათალიკოსი, რომელსაც 1033-1049 წლებში ეპყრა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტი. იგი იყო აღზრდილი და მემკვიდრე წმიდა მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქისა, რომლის ცხოვრებაც ისევე წმიდა იყო, როგორც მისი წინამორბედი და შემდგომი კათალიკოს-პატრიარქებისა, ამიტომაც წმიდა იოანე IV-სა და იოანე V-ს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან.

წმ. იოანე ხახულები - მოხსენიების დღე - 23 მარტი

ღირსი იოანე ხახულები (X-XI), საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის თანამედროვე სასულიერო მოღვაწე, მთარგმნელი და კალიგრაფი იყო. მას, როგორც მჭევრმეტყველ მქადაგებელს, „ოქროპირი“ უწოდეს. სხვადასხვა წყაროდან ირკვევა, რომ ღირს იოანეს ხელი დაასხეს ჯერ ბოლნისის, შემდეგ კი - ხახულის ეპისკოპოსად. დაახლოებით 1019 წელს ღირსმა იოანემ ხახულის კათედრას თავი დაანება და, არსენ ნინოწმინდელთან ერთად, ათონის მთას მიაშურა სამოღვაწეოდ. აქ იგი ერთგულად ამოუდგა მხარში წმიდა ექვთიმე ათონელს და გულითად მეგობრობას უწევდა მას. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ღირსი იოანე ხახულები ათონზე აღესრულა.

წმ. მეფე დემეტრე თავდადებული - მოხსენიების დღე - 25 მარტი

დემეტრე იყო ძე დავით ულუსი და გვანცა დედოფლისა, საქართველოს მეფე 1270-1289 წლებში. მონღოლთა ბატონობის გამო, დემეტრე II-ის მეფობის დროს, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქვეყნის დიდი ნაწილი აოხრებული იყო. დემეტრე II ცდილობდა დაცემული ეკონომიკის გამოსწორებას. მეფე გარეგნულად თითქოს მონღოლებს მორჩილებდა, მონაწილეობას ღებულობდა მათ ლაშქრობებში გარეშე მტერთან, საქართველოში კი კვლავ ეკლესიებს აშენებდა, ღამლამობით გამოდიოდა, საკუთარი ხელით ურიგებდა გლახაკთა მოწყალეობას. მიუხედავად მძიმე საშინაო ვითარებისა, მან შეძლო თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის აშენება.

ლაშქრობებისაგან ქვეყანა გაღატაკდა, გავერანდა. სხვის ომში სისხლისგან დაცლილი საქართველო ახალი განსაცდელ-



ის წინაშე აღმოჩნდა: დაიწყო შინაბრძოლები. ქართველები ისე დაეცნენ, რომ ეკლესიებსაც კი სტაცებდნენ მიწას. იმის მაგიერ, რომ მეგობრის სახით შემოპარული საერთო მტრის განადგურებაზე ეზრუნა, ერი უცებ დაექანა დაღმავალი გზით, უცებ აღმართა ხელი მოყვარეზე, დაივიწყა ღმერთიცა და ხატიც. სამწუხაროდ, დემეტრეც იძლია ბოროტისაგან, შემდგომში, როგორც გვამცნობს ჟამთააღმწერელი, მეფე „სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავა საქმენი მათი უძღვებებისა და სიძვისა“. და მოიყვანა სამი ცოლი. კათალიკოსი ნიკოლოზი დღენიადაგ „ამხილებდა მრავლად და ვერ არწმუნა“ და „ამისათვის დაუტევა კათოლიკოსობა“.

1289 წელს ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს პირველ ვაზირს, ბუღას, ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება დაბრალდა, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს. დემეტრე II, როგორც ბუღასთან დაახლოებული პირი, ყაენის კარზე დაიბარეს, სადაც მის წინააღმდეგ მოქმედებდა განაწყენებული ყუთლუ-ბულა. დემეტრეს სიკვდილით დასჯა ელოდა. მეფემ დარბაზის წევრებს რჩევა სთხოვა. მათ დასავლეთ საქართველოში ან მთიულეთში ურჩიეს გახიზნა. დემეტრემ კარგად იცოდა, რომ ყაენის კარზე სიკვდილი ელოდა, სამაგიეროდ, „ვგონებ რომე ქვეყანა უვნებელი დარჩესო“. მეფე დემეტრე ურდოში გაემგზავრა ქართლის კათალიკოს-პატრიარქ აბრაჰამის, სამღვდელოებისა და დიდებულთა თანხლებით. 1289 წლის 12 მარტს, მოვაკანში, მდინარე მტკვრის პირას, დემეტრე II-ს თავი მოჰკვეთეს. მეფის ცხედარი კათალიკოს-პატრიარქმა აბრაჰამმა და მოსე მღვდელმა ფარულად გამოისყიდეს, თბილისელმა ვაჭრებმა კი საქართველოში ჩამოასვენეს. იგი დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში. დემეტრე მეფეს პიროვნული მსხ-

ვერპლისათვის შთამომავლობამ თავდადებული უწოდა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმიდანად შერაცხა.


წმ. პიმენ სალოსი და წმ. ანტონი მესხი - მოხსენიების დღე - 29 მარტი

წმიდა პიმენ სალოსი დაიბადა XIII ს. 60-იან წლებში. წმიდანი წარმოშობით კახეთის თავადთა გვარიდან იყო, აღიზარდა დავით გარეჯის მონასტერში. იგი ანტონ მესხთან ერთად მოღვაწეობდა. ბიოგრაფიული ცნობები წმიდა ანტონის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მას „სახელ-სდევს ქართველთა მზედ“, ბევრ რამეზე მეტყველებს. ბერებმა სალოსობის, მეფისა და ერის მხილების საოცრად დიდ და გაბედულ ღვაწლს წარმართებს შორის ქადაგებაც დაუმატეს. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ წმიდა პიმენმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცია, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“. მას ასევე გაუქრისტიანებია თუშნი და მთიელნი. ქვეყანა კი ამ დროს საოცრად დაცემული და განადგურებული იყო: მონღოლთა შემოსევებით გამწარებულ მოსახლეობაში იმძლავრა ურწმუნოებამ, თვით წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულიც აღერია უწესობაში. კათალიკოსმა ნიკოლოზმა მეფე დემეტრე ამხილა უსჯულობაში. მეფის ურჩობამ კათალიკოსი აიძულა, თავისი ნებით დაეთმო საპატრიარქო ტახტი და უბრალო განდეგილი ბერის ცხოვრებით ეცხოვრა.

საღვთო მადლით გაბრწყინებულმა მამებმა პიმენმა და ანტონმა კარგად იცოდნენ, თუ მეფე და მთავრები შეინანებდნენ, შეინანებდა ხალხიც, ამიტომ მათ ერზე ზრუნვა მეფის დამოძღვრითა და მხილებით დაიწყეს. „ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ წმიდა ბერები ამხელდნენ „მეფესა და ყოველსა ერსა, გარნა არა-

რაი ისმინეს“. ღვთის ნებითა და წმიდანთა ლოცვით აღსრულდა წმიდა პიმენ სალოსისა და ანტონ მესხის დიდი სურვილი - მეფე დემეტრემ არა მარტო თავისი უსჯულობა შეინანა, არამედ მონაპირი სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე. ერი ფეხზე წამოდგა, მისთვის თავდადებული ბერები წმიდათა დასში შერაცხა და მათი ხსენება ერთად დაანესა.

მოამზადა ვერიკო ნოზაძე





ჩვენი სრულყოფილი შვილები

რაც დაიბადა, მას შემდეგ ღამით სულ სძინავს... დილით კი, როცა თავის პანია თვალებს ააფახულებს და ლალად გაგილიმებს, თავი ყველაზე ღამაზი გგონია ამქვეყნად, თუმცა იცი, რომ ლოყაზე ბალიშების ნაკეციები გატყვია და თმაც აწვნილი გაქვს... სიამოვნებით მიირთმევს ყველაფერს; ცნობისმოყვარეა და ძალიან უყვარს ურთიერთობა; ყველას, ვინც კი ხელში აიყვანს, ეფერება და კოცნის. გიჟდება თავის სამ უფროს ძმასთან თამაშზე, რომლებიც მას აღმერთებენ და ყველაფერს აკეთებენ მისთვის... როგორც კი საყრდენს იპოვის, ფეხზე დგება, ცდილობს, პირველი ნაბიჯები გადადგას. თვალებში გიყურებს და გისმენს, უნდა ყველაფერში მოგბაძოს, რასაც აკეთებ ან ამბობ; მომთმენია... თითქმის არასდროს ტირის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ჩვენგანი ჩხუბის დროს ხმას აუწევს, ამით გამოხატავს თავის განცდას. ყველაფერში ავლენს თავს... მისი ტირილიც კი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რისგან არის გამომწვეული: შიმშილით, შიშით, მოწყენით თუ ტკივილით. კიდევ შემდეგ გამეგრძელებინა, მაგრამ მგონია, კარგად მიმიხვდით, როგორც დედას, როგორი სრულყოფილია ჩემი ქალიშვილი. იქნებ გაიფიქრეთ: ბედნიერი ხარ, რომ გყავს! ასეც არის, მირიამი ჩემი დიდი საჩუქარია... მე კი თავს უღირსად ვგრძნობ, მაგრამ გული სავესე მაქვს მაღლიერებითა და სიხარულით...

ალბათ იკითხავთ, ასე რატომ ვაქვებ ჩემს შვილს. ახლავე აგიხსნით. ორსულობის დროს დიდი ზეწოლა განვიცადე იმის შესამოწმებლად, მართლა სრულყოფილი იყო თუ არა ჩემი ქალიშვილი: „ქალბატონო, გირჩევთ პრენატალური სკრინინგ-ტესტი გაიკეთოთ, ცოტა ძვირია, მაგრამ სრულიად უსაფრთხო და ძალიან ზუსტი. უბრალო სისხლის ანალიზია. თუ თქვენს ქალიშვილს პრობლემა აქვს, 99%-ით გვეცოდინება“. მინდოდა მეკითხა: „დიდებზეც ხომ არ შეიძლება ამ ტესტის გაკეთება? რადგანაც ჩვენს ირგვლივ უამრავ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს პრობლემები, მათ შორის, პირველ რიგში, მე“. მაგრამ მზად არ ვიყავი, უბრალოდ ვკითხე: „რაში მჭირდება ამის გაგება?“ პასუხად მივიღე: „პირველ რიგში, იმისთვის, რომ თავისუფლად გააკეთო არჩევანი, თუნდაც იმიტომ, რომ უკეთ იგრძნო თავი ორსულობის დარჩენილ პერიოდში, თუ ყველაფერი წესრიგში იქნება... ან თუ ტესტი დადებითი აღმოჩნდება, ფსიქოლოგიურად

მოემზადო პრობლემების მქონე ბავშვის მისაღებად“. არა მგონია, ამ სიტყვებს კომენტარი სჭირდებოდა. მე მხოლოდ ის ვიცი, ეს ტესტი რომ გამეკეთებინა, ორსულობის მინიმუმ 5 თვეს მაინც გავანადგურებდი, რადგანაც ფურცელზე ეწერა, რომ ჩემს ქალიშვილს, ვინც მუცლად მყავდა, ზედმეტი ქრომოსომა ჰქონდა. ეს მხოლოდ 5 თვის შემდეგ დავადგინე, წყალში ბუნებრივი გზით გასაოცარი მშობიარობის შემდეგ, როცა ბებიას ქალი პანანინა არსებას მკერდზე მაკრავდა. მორიგე ექიმი მოწყალე, შიშნარევი თვალებით მიცქერდა: „როგორ ვუთხრა?“... მერე კი ის პრობლემები ჩამოთვალა, რის წინაშეც დავდგებოდი... ჩემი მეუღლე, სამაგალითო მამაკაცი, ექიმს აჩერებს და ეუბნება: „ის ჩვენი ქალიშვილია და არა პრობლემების გროვა, თუნდაც ისინი არსებობდნენ“. სამდღიანი ჰოსპიტალიზაციისა და ექიმებთან ბრძოლის შემდეგ განვაცხადე: „მე მზად ვარ... კიდევ სამი ბავშვი მყავს სახლში, რომლებიც მელოდებიან“...

საავადმყოფოს თანამშრომელთა გასაოცრად, ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ ცხოვრებას ღვთისაგან ბოძებული კურთხევით, გვჯერა, რომ ქრისტე ჩვენ შორისაა და მუდამ გვამხნევებს: „ნუ გეშინიათ, ეს მე ვარ!“... იგი გაგვიქარწყლებს შიშსა და ეჭვს... ქრისტე არ არის მოჩვენება, ის ცოცხალია... მას შემდეგ 16 თვე გავიდა... საოცრებათა სია კი იზრდება. მაინტერესებს, ცოტათი მაინც რატომ არ უნდა შეიცვალოს სამედიცინო წიგნები, ვასწავლოთ ექიმებს, რომ იმ ზედმეტ ქრომოსომასაც თავისი სიღამაზე აქვს? რატომ არ უნდა ვუთხრათ დედებს: „ნუ გეშინია!“ ნაცვლად იმისა, რომ ბედის ანაბარად დავტოვოთ სიცოცხლისა და სიკვდილის არჩევანს შორის, დეპრესიაში ჩავაგდოთ ამ თეთრ და სტერილურ ოთახში მხოლოდ პრობლემებზე საუბრით... რის წინაშეც შეიძლება სულაც არ დავდგეთ, ან თავისი დრამატულობა დაკარგოს ხელში აყვანილი ცოცხალი ბავშვის წინაშე. ეს ტესტი მძიმე ტვირთია, იგი დედების მხრებს აწევს, ამას ემატება ყალბი და ცრუ ფსიქოლოგიური ტერორი. 21-ე ქრომოსომის მქონე ბავშვები არ არიან მონსტრები! არ უნდა გვეშინოდეს მათი, ისინი სიკეთის ტიტანები, ღმირის ოსტატები და ძალიან ჭკვიანები არიან!

ელენე

სრულად იხილეთ გვერდი:

<https://www.facebook.com/INER-Georgia-wyvilisa-dasicocxlis-samsaxurSi>



წიგნების პრეზენტაცია

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, 7 თებერვალს გაიმართა წიგნების: „ეკლესიის სოციალური სახელმძღვანელო: კათოლიკე ეკლესიის სოციალური აზროვნების კონცეფცია, ევოლუცია და პრინციპები“ და „ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი“ პრეზენტაცია.

„ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი“ არის რომის ეკლესიის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მოკლედ გადმოსცემს ეკლესიის სწავლებასა და შეხედულებებს სხვადასხვა სოციალურ საკითხებზე, როგორცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, მშვიდობა, სამართლიანობა, მშრომელთა საკითხი, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი თარგმნეს მამა აკაკი ჭელიძემ და ირაკლი ჯავახიშვილმა.

რაც შეეხება „ეკლესიის სოციალურ სახელმძღვანელოს“, რომლის ავტორებიც ირაკლი ჯავახიშვილი და მარიამ ბაგაური არიან,

წარმოადგენს კომპენდიუმის უფრო პოპულარული ენით გადმოცემულ განმარტებებს და განკუთვნილია კათოლიკე ეკლესიის სოციალური სწავლების შემსწავლელთათვის.

ახლად გამოცემული წიგნები ირაკლი ჯავახიშვილმა და მარიამ ბაგაურმა წარმოადგინეს, ისაუბრეს თარგმანთან და სახელმძღვანელოს მომზადებასთან დაკავშირებულ მომენტებზე. შემდგომ გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი ვაჟა ვარდიძე, პრორექტორი დიმიტრი გეგენავა, ფაკულტეტის დეკანი გოჩა ბარნოვი, პროფესორი ნუგზარ ბარდაველიძე. გთავაზობთ მცირე ამონარიდს მათი გამოსვლებიდან.

ირაკლი ჯავახიშვილი: ეს წიგნი კათოლიკე ეკლესიის სოციალური მოძღვრების წარმოჩენისა და გაცნობის პირველი ნაბიჯია საქართველოში. ამასთანავე, მასში მოკლედაა გადმოცემული და განმარტებული კათოლიკური სოციალური სწავლების არსი, ისტორია, ეკო-




ლუცია და პრინციპები.

მარიამ ბაგაური: დიდი მადლობა ირაკლის, რომ საშუალება მომეცა ამ წიგნზე მემუშავა. ჩემთვის სიახლე იყო მის თემატიკასთან შეხება და წერისას, ფაქტობრივად, აღმოჩენების პროცესში ვიყავი. სულ ახალ და საინტერესო თემებთან მიხდებოდა შეხება. იმდენად ახლოს მოვიდა ეს ყველაფერი ჩემთან, რომ მთელი სული და გული ჩავაქსოვე ამ ნაშრომში. წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ თეოლოგიის სტუდენტებისათვის, არამედ ყველასთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია პიროვნება და მისი კეთილდღეობა. დიდი მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო იმაში, რომ ამ სახელმძღვანელოს დღის სინათლე ეხილა.

ვაჟა ვარდიძე: სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტში არსებული ეკლესიის სოციალური სწავლების ცენტრის მიერ 2019 წლის დეკემბერში გამოიცა კათოლიკე ეკლესიის სოციალური სწავლების კომპენდიუმი, რომელიც ეხება ეკლესიის ხედვას სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკისადმი. პაპების სოციალური ენციკლიკების მოხმობით, რწმენის პრინციპებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია ადამიანის საზოგადოებრივი ბუნება, მისი შრომის, ოჯახის, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ასპექტები, საერთაშორისო ურთიერთობისა თუ მშვიდობისათვის სწრაფვის მნიშვნელობა, ისევე როგორც ის ფუნდამენტური ოთხი პრინციპი (პიროვნულობა, საზოგადო სიკეთე, სოლიდარობა და სუბსიდიარობა), რომელიც ყოველ საზოგადოებაში აუცილებლად უნდა იყოს განხორციელებული. კომპენდიუმი გარკვეული სახის გზამკვლევაა სოციალური პასუხისმგე-

ბლობის ჩამოსაყალიბებლად და მიუთითებს იმ ორიენტირზე, რომელიც თავისი უნივერსალური ხასიათით რელიგიური თუ კულტურული საზღვრების მიღმა განსაზღვრავს ღირსეულ ადამიანურ თანაცხოვრებას.

ნუგზარ ბარდაველიძე: პირველ რიგში, მსურს მივულოცო ირაკლისა და მარიამს ამ ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი შრომის დასრულება. დიდი სიხარულითა და სიამაყით მსურს აღვნიშნო, რომ ირაკლიც და მარიამიც ჩემი ყოფილი სტუდენტები იყვნენ საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში და ევროპისმცოდნეობის სპეციალობის პირველ გამოშვებას წარმოადგენენ. ისინი გამოირჩეოდნენ საოცარი შრომისმოყვარეობით და სწავლისადმი კეთილსინდისიერებით, უკვე სტუდენტობის დროიდან ჩაერთვნენ ამ სახელმძღვანელოს მომზადებაში და მათი მრავალწლიანი შრომის შედეგს დღეს ვეცნობით. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი კვ-



ლავაც გაგვახარებენ მრავალი საინტერესო და წარმატებით განხორციელებული პროექტით. მადლობა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტსაც, რომელმაც მოკლე დროში და ასეთ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა ეს სახელმძღვანელოები, რომელთა ანალოგიც, დაბეჯითებით შემოიღია განვაცხადო, მთელ კავკასიაში არ მოიპოვება. მათი გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესდებიან თანამედროვე ეპოქაში ეკლესიის სოციალური საქმიანობისა და ეკლესიის წინაშე გაჩენილი ახალი გამოწვევების შესასწავლად.

„საბას“ სპეციალური კორესპონდენტი



მუსიკა დროში

იანვრის ცივ დილას, ვაშინგტონის მეტროსადგურზე მივიდა კაცი და ვიოლინოზე დაკვრა დაიწყო. დაახლოებით 45 წუთის განმავლობაში მან ბახის ექვსი პიესა შეასრულა. პიკის საათი იყო და გამოვთვალეთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ათასობით ადამიანმა ჩაუარა მას გვერდით. მათგან უმრავლესობა სამსახურისაკენ მიიჩქაროდა სადგურის გავლით.

გავიდა სამი წუთი და შუახნის მამაკაცმა შეამჩნია მუსიკოსი. მან ნაბიჯი შეანელა, რამდენიმე წამით შეჩერდა, მერე კი სასწრაფოდ თავის საქმეზე წავიდა.

წუთიც და მევიოლინემ პირველი დოლარი მიიღო: ქალმა ფული ფუტლარში ჩააგდო და ისე განგრძო გზა, არც გაჩერებულა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვილაც კედელს მიეყრდნო, რომ მისთვის მოესმინა, მაგრამ საათს რომ დახედა, გაიქცა. როგორც ჩანს, სამსახურში აგვიანდებოდა.

ყველაზე მეტი ყურადღება მუსიკოსს სამი წლის ბიჭუნამ მიაქცია. მაგრამ დედამ ბავშვი არ გააჩერა და ძალით გაიყოლა თან. ასევე მოიქცა რამდენიმე სხვა ბავშვიც. მაგრამ უკლებლივ ყველა მშობელი აიძულებდა შვილს, გზა განეგრძო.

45 წუთის განმავლობაში, ვიდრე მუსიკოსი უკრავდა, მხოლოდ ექვსი ადამიანი შეჩერდა მცირე ხნით. ოციოდემ მას ფული მისცა, მოგროვდა 32 დოლარი, მაგრამ ყველამ, ჩვეულებრივ, განაგრძო გზა.

როცა მუსიკოსმა დაკვრა დაასრულა, ვერავინ შეამჩნია, არავინ დაუკრა ტაში, არავინ შეაფა-

სა იგი. არავინ იცოდა, რომ ეს მევიოლინე იყო ჯოშუა ბელი, ერთ-ერთი უნიჭიერესი მუსიკოსი მსოფლიოში. მან 3, 5 მილიონ დოლარად ღირებულ ვიოლინოზე ის-ის იყო შეასრულა ერთ-ერთი ურთულესი ნაწილი ნანარმოებიდან, რაც კი ოდესმე დაწერილა.

ორი დღით ადრე, ვიდრე ჯოშუა ბელი მეტროში დაუკრავდა, მის კონცერტზე დასასწრები ყველა ბილეთი გაიყიდა ბოსტონის თეატრში, სადაც ადგილის ღირებულება საშუალოდ 100 \$-ს შეადგენდა.


პროექტი „ჯოშუა ბელი ინკოგნიტოდ უკრავს მეტროში“ ორგანიზებული იყო გაზეთ Washington Post-ის მიერ, როგორც სოციალური ექსპერიმენტის ნაწილი ხალხის აღქმის, გემოვნებისა და პრიორიტეტთა შესახებ. ექსპერიმენტის ამოცანა შემდეგი იყო: ჩვეულებრივ გარემოში, არახელსაყრელ დროს შეგვიძლია კი, აღვიქვათ სილამაზე. როგორია ჩვენი რეაქცია და რას ვაკეთებთ, ეს რომ გავიგოთ? შევიცნობთ კი ტალანტს მოულოდნელ ვითარებაში?

ამ გამოცდილებიდან ერთ-ერთი დასკვნა შეიძლება ასეთი იყოს: თუკი ჩვენ წუთიც ვერ გამოგვინახავს, რათა შევჩერდეთ და ყური დავუგდოთ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მუსიკოსს, რომელიც უკრავს საუკეთესო მუსიკას, რაც კი ოდესმე შექმნილა, რამდენი მნიშვნელოვანი რამ გვრჩება ამ ცხოვრებაში ყურადღების მიღმა?

თარგმან პერიკო ნოზაძე

<https://m.facebook.com/groups/1400694493482122?view=permalink&id=2596233137261579>

გააფერადე, ამოჭერი და დააწყებე



შეინახე დიდმარხვის მოსაგონებლად

ჩვენი აკლასიის ცხოვრება

3-4 მარტი	—	მღვდლების შეხვედრა ეპისკოპოსთან კურიაში
6-8 მარტი	—	სულიერი ვარჯიშები ახალგაზრდებისთვის წეროვანში
13-15 მარტი	—	სულიერი ვარჯიშები ეპისკოპოსთან მოზრდილთათვის (სინმიდის თემაზე)
19 მარტი	—	წმ. იოსების დიდდღესასწაული, არლის საკრებულოს დღეობა
25 მარტი	—	უფლის ხარება, ჭიათურის საკრებულოს დღეობა
26 მარტი	—	მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)
27-28 მარტი	—	ფორმაციული შეხვედრა კარიტასში
31 მარტი-1 აპრილი	—	ეკლესიის სოციალური სწავლების პირველი ტრენინგი უნივერსიტეტ საბაში

2020 წლის 4-5 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გაიმართება მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“.

განსვენება საუკუნო მიანიჭა მათ, უფალო!



ნინა ტუტსიანი
* 28. 02. 1950, ოზურგეთი
† 02. 11. 2019, ოზურგეთი




გელენა თავაშვილი
* 23. 12. 1944, ოზურგეთი
† 12. 11. 2019, ოზურგეთი



ნინო ტორონიძე
* 24.09.1968, ბიჭვინთა
† 24.12.2019, თბილისი



თამარ ჩიჭაშვილი
* 10. 02. 1931, ვალე
† 12. 01. 2020, ვალე



რაული გვაშვილი
* 02. 02. 1954, ბათუმი
† 18. 01. 2020, ბათუმი



ნატალია კაკაჩაშვილი
* 01.04. 1933, არალი
† 24.01. 2020, არალი



ზოია ათუშაშვილი
* 07.04. 1956, აღივანი,
წარმასთუბანი
† 28. 01. 2020, ვალე



ვალერია კაკაჩვი
* 25.09. 1937, ვალე
† 31.01. 2020, ვალე

მთავარი რედაქტორი: მამა გაბრიელ ბრეგანტინი
სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ლალანძე, ციგინო ხითარაშვილი
თქვენი პირი მხარდაჭერა: მამა მიხეილ სურმაგა, თამარ სტეფანაძე
მისამართი: ჟურნალ „საბა“ რედაქცია, გიგა აბესაძის ქ. №6 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.jurnali@gmail.com; www.onlinesaba.com; www.facebook.com/onlinesaba/
რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, © „საბა“, 2020.